**გურიის აგრობიზნესცენტრი**

# ჩაის პროდუქციის დასაფასოებელი დანადგარის შეძენა

## ძირითადი ინფორმაცია

**2025**

## 1. შესავალი

**ა(ა)იპ გურიის აგრობიზნესცენტრი (GABC)** დაარსდა 1999 წელს და მისი მისიაა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაციის მიზანია, ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, მათი ინფორმირებულობის ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

გურიის აგრობიზნესცენტრი პროექტის, **"ქართული ჩაის სამრეწველო შესაძლებლობების ზრდა"**, ფარგლებში გეგმავს ჩაის დასაფასოებელი დანადგარების შეძენას, რომელიც მოხმარდება ადგილობრივი ჩაის მწარმოებელი მცირე და საშუალო საწარმოების მომსახურებას, რათა მათ შეძლონ გაზარდონ პროდუქტიულობა და გაყიდვები როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე.

გურიის აგრობიზნესცენტრი ეძებს ადგილობრივ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (მომწოდებელს), რომელიც უზრუნველყოფს სამი სხვადასხვა დანადგარის (ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის მაინც) მიწოდებას, რომელიც დააკმაყოფილებს დანართი1 მოცემულ **მინიმალურ სპეციფიკაციებს.**

პროექტს, "ქართული ჩაის სამრეწველო შესაძლებლობების ზრდა", გურიის აგრობიზნესცენტრი GIZ პროექტის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

**შემსყიდველი ორგანიზაცია: ა(ა)იპ გურიის აგრობიზნესცენტრი (ს.ნ. 237080699);**

- წინადადების მიღების დაწყების თარიღი: 02.05.2025.
- წინადადების მიღების დასრულების თარიღი: 12.05.2025
- გამარჯვებულის გამოვლენის ბოლო ვადა: 14.05.2025
- ხელშეკრულების დადების ბოლო ვადა: 16.05.2025

## 2. პროდუქტი:

დანართი #1–ით განსაზღვრული ჩაის დასაფასოებელი დანადგარი;

## 3. ძირითადი მოთხოვნები:

### 3.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ ინვოისი, ხელმოწერილი;
- ✓ დანართი 1 - ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები;
- ✓ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ✓ ორგანიზაციული გამოცდილება;

შერჩევის პროცესში ორგანიზაცია მოითხოვოს დამატებით ინფორმაციას;

### 3.2. პრეტენდენტის წინადადების ფასი და ანგარიშსწორების პირობები:

- ✓ სატენდერო წინადადების ფასი უნდა იყოს საბოლოო და შეიცავდეს ყველა ხარჯს, დაკავშირებულს პროდუქტის მიწოდებასთან;
- ✓ შემოთავაზებული ფასი არ უნდა მოიცავდეს დღგ-ს;
- ✓ შემოთავაზება წარმოდგენილ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში (ლარი);
- ✓ ანგარიშსწორება შემსრულებელთან იწარმოებს ნაწილობრივ წინასწარი გადახდის პირობით;

✓ შემოთავაზებული დანადგარის პარამეტრები უნდა აკმაყოფილებდეს დანართ #1-ში მითითებულ მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლებს (სპეციფიკაციები).

**3.3. მოთხოვნა მომსახურების გაწევის ვადებთან დაკავშირებით**

მაქსიმუმ 75 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიწოდების ადგილი ოზურგეთი;

**4. შერჩევის კრიტერიუმები**

✓ შემოთავაზებების განხილვის პროცესში უპირატესობა მიენიჭება იმ წინადადებას, რომელიც:

1. აკმაყოფილებს დანადგარების მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლებს;
2. წარმოადგენს კონკურენტულ ფასს;
3. ითვალისწინებს ოპტიმალურ მოწოდების ვადებს.

✓ არასრულად წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება.

✓ შერჩევას მოახდენს პროექტის გუნდი, რომელიც დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ პრეტენდენტს.

**სატენდერო განაცხადი** მიიღება მატერიალური ან ელექტრონული სახით 2025 წლის 12 მაისის ჩათვლით 18:00 საათამდე.

ელექტრონული სახით გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე: gabc.tender@gmail.com. "საგანი" ველში მიუთითეთ კონკურსის სახელი "ჩაის პროდუქციის დასაფასოებელი დანადგარების შეძენა".

მატერიალური სახით ორგანიზაციის მისამართზე გამოგზავნის შემთხვევაში კონვერტზე უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია: პრეტენდენტის კომპანიის დასახელება, საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო პირი, ტელეფონი, იურიდიული მისამართი); ხელმოწერა და კომპანიის ბეჭედი კონვერტის დალუქვის ადგილზე.

**5. საკონტაქტო ინფორმაცია:**

ა(ა)იპ "გურიის აგრობიზნესცენტრი"
მისამართი: ქ. ოზურგეთი, 3500, გრიბოედოვის ქ. #19;
ტელეფონი: +995591226622
ელ-ფოსტა: gabc.tender@gmail.com